საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 274
14/11/2016

274-06-3-201611141216

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წლის 15 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე კომისიამ ჩაატარა ოთხი სხდომა, აღნიშნული სხდომების დროს განხილული იქნა ხუთი საკითხი:

1. შემოსულ კორესპოდენციის განხილვის შესახებ.

   მომხს: ტ. არაშიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ა(ა)ი.პ. ოზურგეტის მუნიციპალიტეტის ,,მუნიციპალური მომსახურების ცენტრის“ ინფორმაციის თაობაზე.

   მომხს: თ.ქინქლაძე

3. შემოსულ კორესპოდენციათა განხილვის შესახებ.

   მომხს: ტ. არაშიძე

4. შემოსულ კოპრესპოდენციათა განხილვის შესახებ.

   მომხს: ტ. არაშიძე

პირველ, მეოთხე და მეხუთე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს ოზურგეტის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიმდინარე წლის 13 სექტემბერს შემოსული წერილი(N 233741),რომელიც ეხებოდა მოქალაქე ანა სალუქვაძის საკუთრების (შენობა-ნაგებობის) ნუმერაციისათვის ქუჩის სახელდების აუცილებლობას.ასევე განიხილეს საკითხი საავტომობილო გზების პირას ნარჩენების კონტეინერების განთავსების შესახებ და ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში საზღვრების განსაზღვრასა და ზემო და ქვემო ნატანებში ქუჩების სახელდების თაობაზე.

პირველ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვიტეს: საქართველოს ორგანული კანონის თვითმმართველობის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N

239 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ შესაბამისად დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიტუაციურ გეგმაზემითითებული ტერიტორიის სახელდების მიზნით.

დღის წესრიგით გათვალიწინებულ საკითხში, რომელიც შეეხებოდა ოზურგეთის მუნიციპაიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოების მიმდინარეობას ა(ა)ი.პ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ,,მუნიციპალური მომსახურების ცენტრის“ ინფორმაციის თაობაზე, კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ“ და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურისა“ და ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ,,მუნიციპალური მომსახურების ცენტრის“ ინფორმაციები მიღებულ იქნას ცნობად.

ტარიელ არაშიძე

კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია